

დამტკიცებულია

შეთანხმებულია

შპს „ნოვა“-ს  
გენერალური დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
გარემოს ეროვნული სააგენტოს  
გარემოსდაცვითი შეფასების  
დეპარტამენტი

გ. ნიკიშვილი



" " 2026 წ.

" " 2026 წ.

შპს „ნოვა“

პოლიეთილენის ავზების საწარმო  
ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №261. ს/კ 05.32.06.948)

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად  
დასაშვები გაფრქვევის ნორმების  
პროექტი

შემსრულებელი:  
შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების  
კომპანია“  
ელ. ფოსტა: [info@enseco.ge](mailto:info@enseco.ge)

2026 წელი

## ა ნ ო ტ ა ც ი ა

პროექტში განხილულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ყველა შესაძლო ასპექტები, მოყვანილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გაანგარიშებათა ჩატარებისათვის საჭირო საწყისი ინფორმაცია საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით. დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.

ანგარიში შესრულებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის თანამედროვე ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

## სარჩევი

ძირითად ტერმინთა განმარტებები .....	4
1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ .....	5
2. საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება.....	6
3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით.....	7
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება8	
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში.....	8
5.1 ემისიის გაანგარიშება Polivinil-ის როტაციული დანადგარის მილიდან N1 (გ-1).....	8
5.2 ემისიის გაანგარიშება Polivinil-ის როტაციული დანადგარის მილიდან N2 (გ-2).....	10
5.3 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის(პოლიმერული გრანული) საფქვავიდან N1(გ-3).....	10
5.4 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის(პოლიმერული გრანული) დამჭუცმაცბელიდან N2(გ-4)....	10
5.5 ემისიის გაანგარიშება წებოცემენტის დაფასოების (გადაფუთვა) დანადგარიდან (გ-5) .....	11
5.6 ემისიის გაანგარიშება სამღებრო საამქროდან (გ-6, გ-7).....	11
5.7 ემისიის გაანგარიშება შავი მეტალის საამქროდან (გ-8).....	13
6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები .....	15
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში.....	19
8. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი .....	25
9. დასკვნა .....	25
10. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები .....	25
11. ლიტერატურა .....	27
12. დანართი 1. საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა .....	28
13. დანართი 2. საწარმოს გენ-გეგმა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დატანით.....	29
14. დანართი 3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის ამონაბეჭდი .....	30

## ძირითად ტერმინთა განმარტებები

- ა) "ატმოსფერული ჰაერი" - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) "მავანე ნივთიერება" - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) "ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება" - ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მავანე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;
- დ) "ატმოსფერულ ჰაერში მავანე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა" - ატმოსფერულ ჰაერში მავანე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავანე ზემოქმედებას;
- ე) "ატმოსფერულ ჰაერში მავანე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" - ატმოსფერულ ჰაერში მავანე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;
- ვ) "ატმოსფერულ ჰაერში მავანე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" - ატმოსფერულ ჰაერში მავანე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;
- ზ) "ატმოსფერულ ჰაერში მავანე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა" - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მავანე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავანე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავანე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

## 1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმო მდებარეობს ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №261-ის საკადასტრო ერთეულზე (05.32.06.948) არსებულ შენობაში, რომელიც შპს „ნოვას“ საკუთრებას წარმოადგენს.

საწარმო მუშაობს 24 საათის განმავლობაში, წლის განმავლობაში სამუშაო დღეთა რაოდენობად საშუალოდ მიღებულია 330 დღე.

საწარმოდან უახლოესი დასახლებულ პუნქტამდე პირდაპირი მანძილი დაახლოებით ≈860 კმ-ს შეადგენს, ხოლო უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. ჭოროხამდე) პირდაპირი მანძილი დაახლოებით 368 მეტრია.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

ობიექტის დასახელება	შპს „ნოვა“
<b>ობიექტის მისამართი:</b>	
ფაქტიური	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №261
იურიდიული	ქ. თბილისი, აგლაძის №5
საიდენტიფიკაციო კოდი	202358126
GPS კოორდინატები	X-717046; Y-4608411
გვარი, სახელი	ედუარდ ხიმშიაშვილი
ტელეფონი	511 19 19 00; 591 06 08 59
ელ-ფოსტა	<a href="mailto:info@enseco.ge">info@enseco.ge</a> ; <a href="mailto:m.makaradze@nova.ge">m.makaradze@nova.ge</a>
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	830 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	პოლიეთილენის ავზების წარმოება
გამომშვებული პროდუქციის სახეობა	პოლიეთილენის ავზები
საპროექტო წარმადობა	2112 ტ/წელ
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	პოლიეთილენი, პოლიმერი 2112 ტ/წელ. 4,150 კგ/წელ შედუღების ნედლეული.
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	360 000 მ³/წელ. ბუნებრივი აირი
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	330
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24

## 2. საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება

საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება მიღებულია [5] -ს შესაბამისად და წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილების სახით.

### ცხრილი 2.1. პუნქტის კოორდინატები, ბარომეტრული წნევა

№	პუნქტის დასახელება	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	ბარომეტრული წნევა (ჰპა)
1	ქ. ბათუმი	41° 39'	43° 38'	5	1010

### ცხრილი 2.2. ჰაერის ტემპერატურა (თვის და წლის საშუალო)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
7,1	7,2	8,4	11,5	15,8	20,0	22,8	23,2	20,3	16,6	12,0	8,6	14,5

### ცხრილი 2.3. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77	81

### ცხრილი 2.4. ქარის მიმართულების განმეორადობა (%) იანვარი, ივლისი

ჩრდ.	ჩრდ.აღმ.	აღმ.	სამხ.აღმ.	სამხ.	სამხ.დას.	დას.	ჩრდ.დას.
6/5	6/3	10/3	18/6	14/15	33/33	8/20	5/15

### ცხრილი 2.5. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე (მ/წმ)

იანვარი	ივლისი
3,8/1,0	2,2/0,8

### მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს

№	მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	2	3
1.	ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
2.	ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1
3.	წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	26,8
4.	წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	7,1
5.	ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	შტილი-43
	– ჩრდილოეთი	9
	– ჩრდილო-აღმოსავლეთი	7
	– აღმოსავლეთი	8
	– სამხრეთ-აღმოსავლეთი	11
	– სამხრეთი	14
	– სამხრეთ-დასავლეთი	31
	– დასავლეთი	12

	_ ჩრდილო-დასავლეთი	8
6.	ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორადობა შეადგენს 5%-ს.	6,5

### 3. საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით

საწარმოში შემოტანილი ნედლეული საწყობდება შენობაში, ტომარებში მოთავსებული ნედლეულის ფერების მიხედვით. პრესფორმაში მოთავსებამდე ხდება ნედლეულის აწონვა და დასამზადებელი ავზის მოცულობის მიხედვით პრესფორმაში აწონილი ნედლეულის ჩაყრა. შემდეგ ილუქება და პრესფორმა შედის ღუმელში. ღუმელი იმართება ავტომატური ჩამრთველების საშუალებით. მას შემდეგ რაც ღუმელში ტემპერატურა მიაღწევს 230°C პრესფორმა იწყებს ინტენსიურ ბრუნვას. ბრუნვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დასამზადებელი ავზის მოცულობაზე. ღუმელზე დამონტაჟებულია ნამწვი აირების და ცხელი ჰაერის გამყვანი მილი, რომლიც ადის შენობის სახურავის მაღლა. ღუმელიდან გამოსული პრესფორმა გადადის გამაგრილებელ კამერაში. გამაგრილებელი კამერიდან პრესფორმის გამოტანა ხდება ავტომატურად და შემდეგ გაგრილებული პრესფორმიდან მუშებს გამოაქვთ მზა პროდუქტი. საწარმოში მოქმედებს („Polivinil“-ის მარკის იტალიური) ორი იდენტური ტექნოლოგიური ხაზი, იდენტური წარმადობით, ორივე დანადგარისთვის მოწყობილია დამოუკიდებელი გამწოვი სისტემა (საკვამლე მილები), რომელთა მეშვეობით ნამწვი აირები გამოიყოფა ატმოსფერულ ჰაერში (შენობის სახურავიდან).

**Polivinil-ის** წარმოების მბრუნავი ჩამოსხმის დანადგარის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია:

- ღუმელი;
- გამაგრილებელი კამერა;
- პრესფორმის დამჭერი ბერკეტი;
- როტაციული მოდული;
- მოძრავი ბაქანი.

საწარმოში ფხვნილის სახით შემოტანილი ნედლეულის გარდა გამოიყენება ნატურალური გრანულები/ნედლეული, რომელიც სპეციალურ საფქვავ დანადგარში დაფქვის შემდეგ (ფხვნილი) მიეწოდება პოლიეთილენის პროდუქციის მწარმოებელ ტექნოლოგიურ ხაზებს. გრანულების საფქვავი დანადგარის დღიური წარმადობა შეადგენს 5ტ-ს. მიღებული ფხვნილი დროებით თავსდება ტომრებში და გამოიყენება პოლიეთილენის პროდუქციის საწარმოებლად. საწარმოში განთავსებულია ორი ცალი საფქვავი დანადგარი.

საწარმოს ტერიტორიაზე ასევე ხორციელდება დაზიანებული წებოცემენტის ტომრების გადაფუთვა შესაფუთ დანადგარზე, რომლის მიხედვითაც წლის განმავლობაშია დაახლოებით 700 ტომარას დაფასოვება ხდება.

სამღებრო სამუშაოებისთვის განკუთვნილია ორი ცალი ღებვის მაგიდა ორი ცალი საშრობით, რომლებზედაც დამონტაჟებულია ცალ ცალკე გამწოვი ასპირაციული სისტემა. წლის განმავლობაში გათვლილია 6500 კგ საღებავის გამოყენება.

შავი მეტალების აამქროში ხორციელდება როგორც მეტალის დაჭრა, ასევე შედუღების სამუშაოების, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 4150 კგ შედუღების მასალა. (ელექტროდი, კემპი, მავთული)

#### 4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელია მავნე ნივთიერების ემისია, რომლის მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღე-ღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [5] მოცემულია ცხრილში 4.1.

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ³		მავნეობის საშიშროების კლასი
დასახელება	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
მანგანუმის ოქსიდი	0143	0.01	0.00005	2
აზოტის დიოქსიდი	0301	0.2	0.04	2
ნახშირბადის ოქსიდი	0337	5.0	3.0	4
ტოლუოლი	0621	0.6	0.4	3
ეთილის სპირტი	1061	5	-	4
მმარმჟავა	1555	0.2	0.006	3
მყარი ნაწილაკები (შეწონილი ნაწილაკი)	2902	0.5	0.15	3
არაორგანული მტვერი 70-20% SiO <sub>2</sub>	2908	0.3	0.1	3

#### 5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

კანონმდებლობის თანახმად, ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
2. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

##### 5.1 ემისიის გაანგარიშება Polivinil-ის როტაციული დანადგარის მილიდან N1 (გ-1)

ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით მავნე ნივთიერებათა გამოყოფა ხორციელდება როტაციული ღუმელიდან ბუნებრივი აირის წვის შედეგად და როტაციული დანადგარში ნედლეულის დნობისას, რომელთა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა ხორციელდება დანადგარზე დამონტაჟებული ცენტრიდანული ვენტილიატორის მეშვეობით შენობის სახურავზე გამავალი მილის საშუალებით.

**საწყისი მონაცემები, პარამეტრები და მეთოდური მითითებები ნივთიერებათა გამოყოფის და გაანგარიშებისათვის მოცემულია ქვემოთ:**

ბუნებრივი აირის წვის დროს ყოველ 1 მ³ ბუნებრივი აირის დაწვას მეთოდის შესაბამისად ჰბრუნდება 13,0535მ³ ჰაერი. რადგან არსებულ ღუმელს ესაჭიროება 34მ³/სთ - ში გამომდინარე აქედან მივიღებთ  $13,0535\text{მ}^3/\text{მ}^3 \times 34\text{მ}^3/\text{სთ} = 3615\text{მ}^3/\text{სთ}$ . ნამწვი აირების მოცულობის კორექტირების კოეფიციენტი ტემპერატურის მიხედვით  $(273+120)\div 273 = 1,31$ . ღუმელის ნამწვი აირები მუშა პირობებში კორექტირდება ფიზიკური პირობების გათვალისწინებით  $3615\text{მ}^3/\text{სთ} \times 1,31 = 415\text{მ}^3/\text{სთ}$ .  $415\text{მ}^3/\text{სთ} \div 3600 = 0,109\text{მ}^3/\text{წმ}$ .

**მილის დიამეტრი**  $D = 0,25\text{მ}$ .

**მოცულობითი ხარჯი**  $W_o = 0,109\text{მ}^3/\text{წმ}$ .

**ჰაერის ნაკადის სიჩქარე**  $V = 0,109 \div (0,25^2 \times 0,785) = 2,23 \text{მ}/\text{წმ}$ .



**ცხრილი 5.1.1. გაანგარიშების მონაცემები**

დასახელება	საანგარიშო პარამეტრი		
თერმოპლასტები, პოლიეთილენი	დამაბინძურებელი ნივთიერების კუთრი გამოყოფა, $Q_{კუთ}$	ერთეული	მნიშვნელობა
	მმარმჟავა (ეთანმჟავა)	გ/კგ	0,4
	ნახშირბადის ოქსიდი	გ/კგ	0,8
მასალის ხარჯი B	პოლიეთილენი	კგ/სთ	133.4
მასალის წლიური ხარჯი B <sub>1</sub>	პოლიეთილენი	კგ/წელ	1056000

ნედლეულის დნობის და ღუმელში ბუნებრივი აირის წვის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [7,8,9]

i -ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_i = Q_{კუთ.i} \cdot B / 3600, \text{ გრ/წმ}$$

სადაც:  $Q_{კუთ.i}$  გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);  
B - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (კგ/სთ).

i -ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M_{წელ i} = Q_{კუთ.i} \cdot B_1 \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც:  $Q_{კუთ.i}$  გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ);  
B<sub>1</sub> - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ).

გაანგარიშება მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფა დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში მოყვანილია ქვემოთ.

**ეთანმჟავა (მმარმჟავა) (კოდი 1555)**

$$M_i = 0,4 \cdot 133,4 / 3600 = 0.01482 \text{ გრ/წმ};$$

$$M_{წელ} = 0,4 \cdot 1056000 \cdot 10^{-6} = 0.4224 \text{ ტ/წელ}.$$

**ნახშირბადი ოქსიდი (კოდი 337)**

$$M_i = 0,8 \cdot 133,4 / 3600 = 0.02964 \text{ გრ/წმ};$$

$$M_{წელ} = 0,8 \cdot 1056000 \cdot 10^{-6} = 0.8448 \text{ ტ/წელ}.$$

დანადგარის მოხმარებული ბუნებრივი აირის საწვავის წლიური რაოდენობა შეადგენს საწარმოს მონაცემებით 143.0 ათასი მ<sup>3</sup>/წელ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება შემდეგი:

$$G_{301} = 143.0 \text{ მ}^3 \times 0,0036 = 0.5148 \text{ ტ/წელ}.$$

$$G_{337} = 143.0 \text{ მ}^3 \times 0,0089 = 1.2727 \text{ ტ/წელ}.$$

$$G_{000} = 143.0 \text{ მ}^3 \times 2,0 = 286 \text{ ტ/წელ}.$$

$$M_{301} = 0.5148 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 7920 \text{ სთ/წელ} = 0.01805 \text{ გ/წმ}.$$

$$M_{337} = 1.2727 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 7920 \text{ სთ/წელ} = 0.04463 \text{ გ/წმ}.$$

სულ ჯამურად გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობები

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი	0.01805	0.5148

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.07427	2.1175
1555	ძმარმჟავა(ეთანმჟავა)	0.01482	0.4224
000	ნახშირორჟანგი	-	286

## 5.2 ემისიის გაანგარიშება Polivinil-ის როტაციული დანადგარის მილიდან N2 (გ-2)

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები გ-2 წყაროდან იდენტურია გ-1 წყაროდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობის.

მილის დიამეტრი  $D = 0,25\text{მ}$ .

მოცულობითი ხარჯი  $W_o = 0,109\text{მ}^3/\text{წმ}$ .

ჰაერის ნაკადის სიჩქარე  $V = 0,109 \div (0,25^2 \times 0,785) = 2,23 \text{ მ/წმ}$ .

სულ ჯამურად გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობები

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი	0.01805	0.5148
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.07427	2.1175
1555	ძმარმჟავა(ეთანმჟავა)	0.01482	0.4224
000	ნახშირორჟანგი	-	286

## 5.3 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის(პოლიმერული გრანული) საფქვავიდან N1(გ-3)

საფქვაკი დანადგარის წარმადობა შეადგენს 145.83 კგ/სთ, ხოლო წლიური გადამუშავებული ნედლეულის რაოდენობა შეადგენს 1155 ტონას წელიწადში. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №435 დადგენილების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში ყოველ გადამუშავებულ კილოგრამზე გამოიყოფა 0,7 გრ/კგ-ზე შეწონილი ნაწილაკები(პოლიმერული მტვერი).

ამ მონაცემების გათვალისწინებით მავნე ნივთიერებათა გამოყოფილი და გაფრქვეული რაოდენობა იქნება:

$M_{2909} = 145.83 \text{ კგ/სთ} \times 0,7\text{გრ/კგ} \div 3600 = 0.02835 \text{ გრ/წმ}$ .

$G_{2909} = 0.02835 \text{ გრ/წმ} \times 10^{-6} \times 3600 \times 7920\text{სთ/წელ} = 0.808\text{ტ/წელ}$ .

სულ ჯამურად გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	მყარი ნაწილაკები	0.02835	0.808

## 5.4 ემისიის გაანგარიშება ნედლეულის(პოლიმერული გრანული) დამქუცმაცებელიდან N2(გ-4)

საფეკავი დანადგარის წარმადობა შეადგენს 62.5 კგ/სთ, ხოლო წლიური გადამუშავებული ნედლეულის რაოდენობა შეადგენს 495 ტონას წელიწადში. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №435 დადგენილების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში ყოველ გადამუშავებულ კილოგრამზე გამოიყოფა 0,7 გრ/კგ-ზე შეწონილი ნაწილაკები(პოლიმერული მტვერი).

ამ მონაცემების გათვალისწინებით მავნე ნივთიერებათა გამოყოფილი და გაფრქვეული რაოდენობა იქნება:

$$M_{2909} = 62.5 \text{ კგ/სთ} \times 0,7 \text{ გრ/კგ} \div 3600 = 0.01215 \text{ გრ/წმ.}$$

$$G_{2909} = 0.01215 \text{ გრ/წმ} \times 10^{-6} \times 3600 \times 7920 \text{ სთ/წელ} = 0.3464 \text{ ტ/წელ.}$$

სულ ჯამურად გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	მყარი ნაწილაკები	0.01215	0.3464

## 5.5 ემისიის გაანგარიშება წებოცემენტის დაფასოების (გადაფუთვა) დანადგარიდან (გ-5)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [10]

გადასაფუთი დანადგარი იმუშავებს თვეში ორი დღე, წელიწადში 24 დღე და სულ გადაიფუთება 700 ტომარა წებოცემენტის დაზიანებული ტომრები.  $24 \times 24 = 576$  სთ/წელ

რეკომენდაციის თანახმად, ისეთი ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას, როგორიცაა წებოცემენტის დაფასოება ტომრებში, გამოყოფილი მტერის რაოდენობა ყოველ 1 ტონა პროდუქტზე შეადგენს 0,08 კგ-ს. საწარმოს მონაცემების მიხედვით წლიურად გადაიფუთება წებოცემენტის 17.5 ტ/წელ პროდუქცია, წლიურად 700 ტომარა, 1 ტომარის მასა შეადგენს 22-25კგ. შესაბამისად გამოყოფილი და გაფრქვეული მტერის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$M_{2908} = 17.5 \times 0,08 / 1000 = 0.0014 \text{ ტ/წელ.}$$

$$G_{2908} = 0.0014 \text{ ტ/წელ} \div 3600 \div 576 \text{ სთ/წელ} \times 1000000 = 0.00067 \text{ გ/წმ.}$$

სულ ჯამურად გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2908	არაორგანული მტვერი 70-20 %	0.00067	0.0014

გამწოვი მილის სიგრძე არის 4 მეტრი, დიამეტრი 0.40 მ. ნაკადის სიჩქარე 2.48მ/წმ.

## 5.6 ემისიის გაანგარიშება სამღებრო საამქროდან (გ-6, გ-7)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [7,9,11]

საამქროში განთავსებულია ორი შეღებვის მაგიდა და ორი საშრობი. საშრობი სისტემები მუშაობს ბუნებრივ აირზე, აღჭურვილია გამწოვი სისტემებით, თითოეული 13 მ სიგრძის და 728 მმ დიამეტრის გაფრვევის მილებით ბუნებრივი აირის რაოდენობა სამღებრო საამქროსთვის - 74 000 მ<sup>3</sup>/წელ.

სამღებრო საამქრო, წელიწადში 288 დღე, დღეში 16 სთ. გამოიყენებენ ფხვნილოვან საღებავს, წელიწადში 6 500 კგ. გამხსნელი არსაჭიროებს.

$$M = m \cdot f \cdot 6 \cdot 10^{-4} (\text{კგ/წელ})$$

სადაც

**m** - არის საღებავის წლიური რაოდენობა კგ/წელ

**f** - საღებავის დანაკარგი აეროზოლის სახით ( ცხრილი 1 )

**6** – გამხსნელის წილი, რომელიც გამოიყოფა ღებვისას (ცხრილი 2)

შესაბამისად იქნება:

$$M_{621} = 6500 \cdot 55.07 \cdot 30 \cdot 10^{-4} / 1000 = 1.073 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{621} = 1.073 \cdot 10^6 / 3600 / 4608 = 0.0646 \text{ გ/წმ}$$

$$M_{1061} = 6500 \cdot 44.93 \cdot 30 \cdot 10^{-4} / 1000 = 0.876 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{1061} = 0.876 \cdot 10^6 / 3600 / 4608 = 0.0528 \text{ გ/წმ}$$

დანადგარის მოხმარებული ბუნებრივი აირის საწვავის წლიური რაოდენობა შეადგენს საწარმოს მონაცემებით 74.0 ათასი მ<sup>3</sup>/წელ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება შემდეგი:

$$M_{301} = 74.0 \text{ მ}^3 \times 0,0036 = 0.2664 \text{ ტ/წელ.}$$

$$M_{337} = 74.0 \text{ მ}^3 \times 0,0089 = 0.6586 \text{ ტ/წელ.}$$

$$M_{000} = 74.0 \text{ მ}^3 \times 2,0 = 148 \text{ ტ/წელ.}$$

$$G_{301} = 0.2664 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 7920 \text{ სთ/წელ} = 0.01605 \text{ გ/წმ.}$$

$$G_{337} = 0.6586 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 7920 \text{ სთ/წელ} = 0.039701 \text{ გ/წმ.}$$

ვინაიდან საწარმოში არის ორი შეღებვის მაგიდა და ორი საშრობი დამოუკიდებელი გაფრქვევის სისტემით, გამომდინარე აქედან მივიღებთ:

$$G_{301} = 0.01605 \text{ გ/წმ} / 2 = 0.008025 \text{ გ/წმ}$$

$$G_{337} = 0.039701 \text{ გ/წმ} / 2 = 0.01985 \text{ გ/წმ}$$

$$G_{621} = 0.0646 \text{ გ/წმ} / 2 = 0.0323 \text{ გ/წმ}$$

$$G_{1061} = 0.0528 \text{ გ/წმ} / 2 = 0.0264 \text{ გ/წმ}$$

$$M_{301} = 0.2664 \text{ ტ/წელ} / 2 = 0.1332 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{337} = 0.6586 \text{ ტ/წელ} / 2 = 0.3293 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{621} = 1.073 \text{ ტ/წელ} / 2 = 0.5365 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{1061} = 0.876 \text{ ტ/წელ} / 2 = 0.438 \text{ ტ/წელ}$$

სულ თოთოეული სამღებრო საშრობიდან (გ-6 და გ-7) გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობა

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი	0.008025	0.1332
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.01985	0.3293

დამაბინძურებელი ნივთიერება		გ/წმ	ტ/წელ
კოდი	დასახელება		
621	ტოლუოლი	0.0323	0.5365
1061	ეთილის სპირტი	0.0264	0.438

თითოეული გამწოვი მილის სიგრძე არის 13 მეტრი, დიამეტრი 0.728 მ. ნაკადის სიჩქარე 1.37მ/წმ.

### 5.7 ემისიის გაანგარიშება შავი მეტალის საამქროდან (გ-8)

საწარმოში მოწყობილია საამქრო სადაც განთავსებულია 2 ერთეული საჭრელი დანადგარი, 3 ერთეული შედუღების აპარატი (4150 კვ ელექტროდი)

**ელექტროდების გამოყენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 4150კვ საწარმოს მონაცემების მიხედვით.**

შედუღების აპარატები იმუშავებენ მონაცვლეობით, მათი მუშაობა განხილულია გაფრქვევის 1 წყაროდ.

მავნე ნივთიერებათა გაანგარიშება შესრულდა საქართველოს მთავრობის № 435 დადგენილების 69-ე დანართის შესაბამისად. სადაც ელექტროდების გამოყენებით ლითონების შედუღებისას გამოყოფილი შედუღების აეროზოლის ხვედრითი რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 20 გ/კვ-ზე, მათ შორის მანგანუმის და მისი ჟანგულების - 2 გ/კვ-ზე შედუღებისას გამოყენებული (დახარჯული) ელექტროდების მასაზე გაანგარიშებით. (შედუღების აეროზოლი წარმოადგენს მყარი ნაწილაკებს)

შედუღების აპარატები წელიწადში იმუშავებს დღეში მაქსიმუმ 16 საათის განმავლობაში (წელიწადში 288 სამუშაო დღე), ვინაიდან საწარმო მოიხმარს წლიურად 4150კვ/წელ ელექტროდს, მივიღებთ:

მყარი ნაწილაკები

$$G_{2902} = 20 \text{ გრ/კვ} \times 4150 \text{ კვ/წელ} / 10^6 = 0.083 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{2902} = 0.083 \times 10^6 / 4608 \times 3600 = 0.005 \text{ გ/წმ}$$

მათ შორის მანგანუმის და მისი ნაერთების

$$G_{143} = 2 \text{ გრ/კვ} \times 4150 \text{ კვ/წელ} / 10^6 = 0.0083 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{143} = 0,0006 \times 10^6 / 4608 \times 3600 = 0.0005 \text{ გ/წმ}$$

**ლითონების დამუშავებისთვის განთავსებულია 2 ერთეული საჭრელი აპარატი.**

საჭრელი აპარატები იმუშავებენ მონაცვლეობით, მათი მუშაობა განხილულია გაფრქვევის 1 წყაროდ.

მავნე ნივთიერებათა გაანგარიშება შესრულდა საქართველოს მთავრობის № 435 დადგენილების 71-ე დანართის შესაბამისად. ერთი ერთეული ლითონის დასაჭრელი ჩარხიდან მტვრის აეროზოლის (მყარი ნაწილაკი) ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი ტოლია 0,009 კვ/სთ. შესაბამისად, მტვრის გამოყოფის ინტენსიობა იქნება:

$$M_{2902} = 0,009 \times 10^3 / 3600 = 0,0025 \text{ გ/წმ}$$

იმის გათვალისწინებით, რომ საჭრელი აპარატ(ებ)ი წელიწადში იმუშავებს დღეში მაქსიმუმ 4608 საათის განმავლობაში (წელიწადში 288 სამუშაო დღე) მაშინ გაფრქვევის ინტენსიობა ტოლი იქნება:

$$G_{2902} = 0,0025 \times 4608 \times 3600/10^6 = 0.0414 \text{ ტ/წელ}$$

სულ ჯამურად სახელოსნოდან გაფრქვეული ნივთიერებები:

დასახელება	კოდი	გ/წმ	ტ/წელ
მანგანუმი და მისი ნაერთები	143	0.0005	0.0083
მყარი ნაწილაკები	2902	0.0075	0.1244

## 6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები წარმოდგენილია ცხრილებში 6.1.-6.4.

**ცხრილი 6.1.** მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი*	დასახელება	რაოდენობა	ნომერი*	დასახელება	რაოდენობა	მუშაობის დრო დღ/ღმ	მუშაობის დრო წელიწადში	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
საწარმო	გ-1	მილი	1	001	Polivinil-ის როტაციული დანადგარის ვენტილატორი N1	1	24	7920	აზოტის დიოქსიდი	301	0.5148
									ნახშირბადის ოქსიდი	337	2.1175
									ძმარმჟავა(ეთანმჟავა)	1555	0.4224
საწარმო	გ-2	მილი	1	002	Polivinil-ის როტაციული დანადგარის ვენტილატორი N2	1	24	7920	აზოტის დიოქსიდი	301	0.5148
									ნახშირბადის ოქსიდი	337	2.1175
									ძმარმჟავა(ეთანმჟავა)	1555	0.4224
საწარმო	გ-3	არაორგანიზებული	1	501	გრანულების საფუძველი დანადგარი	1	24	7920	მყარი ნაწილაკები	2902	0.808
საწარმო	გ-4	არაორგანიზებული	1	502	დასაქუცმაცებელი დანადგარი	1	24	7920	მყარი ნაწილაკები	2902	0.3464
საწარმო	გ-5	მილი	1	003	გადაფუთვის დანადგარი	1	24	576	არაორგანული მტვერი	2908	0.0014
საწარმო	გ-6	მილი	1	004	სამღებრო საშრობი	1	16	4608	აზოტის დიოქსიდი	301	0.1332
									ნახშირბადის ოქსიდი	337	0.3293
									ტოლუოლი	621	0.5365
									ეთილის სპირტი	1061	0.438
საწარმო	გ-7	მილი	1	005	სამღებრო საშრობი	1	16	4608	აზოტის დიოქსიდი	301	0.1332
									ნახშირბადის ოქსიდი	337	0.3293
									ტოლუოლი	621	0.5365
									ეთილის სპირტი	1061	0.438
საწარმო	გ-8	არაორგანიზებული	1	503	შავი მეტალის სამქრო	1	16	4608	მანგანუმი და მისი ნაერთები	143	0.0083
									მყარი ნაწილაკები	2902	0.1244



**ცხრილი 6.2.** მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მაგნე ნივთიერებათ ა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაერმტვერნარევის პარამეტრები მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსვლის ადგილას			მაგნე ნივთიერების კოდი	გაფრქვეულ მაგნე ნივთიერებათა რაოდენობა			მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები ობიექტის კოორდინატთა სისტემაში, მ					
										წერტილოვან ი წყაროსთვის		ხაზოვანი წყაროსთვის			
	სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა	სიჩქარე, მ/წმ.	მოცულობა, მ³/წმ.	ტემპერატურა, °C		გ/მ³	გ/წმ	ტ/წელ	X	Y	ერთი ბოლოსთვის		მეორე ბოლოსთვის,	
												X1	Y1	X2	Y2
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
გ-1	10	0,25	2,23	0,109	140	301	0.165	0.01805	0.5148	-97,6	92,1	-	-	-	-
						337	0.681	0.07427	2.1175						
						1555	0.135	0.01482	0.4224						
გ-2	10	0,25	2,23	0,109	140	301	0.165	0.01805	0.5148	-76,7	-1,90	-	-	-	-
						337	0.681	0.07427	2.1175						
						1555	0.135	0.01482	0.4224						
გ-3	2	-	-	-	30	2902	-	0.02835	0.808	სიგანე 1მ		-68,0	103,5	-66,7	103,9
გ-4	2	-	-	-	30	2902	-	0.01215	0.3464	სიგანე 1მ		-65,8	99,3	-64,1	99,7
გ-5	4	0.4	2.48	0.311	30	2908	-	0.00067	0.0014	-104.8	89.3	-	-	-	-
გ-6	13	0.728	1.37	0.569	140	301	0.0141	0.008025	0.1332	50.5	-57.6	-	-	-	-
						337	0.0348	0.01985	0.3293						
						621	0.0567	0.0323	0.5365						
						1061	0.0463	0.0264	0.438						
გ-7	13	0.728	1.37	0.569	140	301	0.0141	0.008025	0.1332	-46.10	-56.6	-	-	-	-
						337	0.0348	0.01985	0.3293						
						621	0.0567	0.0323	0.5365						
						1061	0.0463	0.0264	0.438						
გ-8	2	-	-	-	30	143	-	0.0005	0.0083	სიგანე 5მ		-37.2	-23.1	-35.0	-33.7
						2902	-	0.0075	0.1244						



**ცხრილი 6.3.** აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება

